საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №24/ნ

2025 წლის 31 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №01-119/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №01-119/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 26/11/2020, 040030000.22.035.016810) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების“:

1. **მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტი:

ბ.ა) შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველო;

ბ.ბ) შრომით მიგრაციასა და იძულებით შრომაზე (ტრეფიკინგი) ზედამხედველობის სამმართველო;

ბ.გ) სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის აკრძალვის ზედამხედველობის სამმართველო;

ბ.დ) დარგობრივი რეგულირების სამმართველო;

ბ.ე) შრომით უფლებებზე ზედამხედველობის იმერეთის რეგიონული სამმართველო;

ბ.ვ) შრომით უფლებებზე ზედამხედველობის აჭარის რეგიონული სამმართველო.“.

2. **მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ ქვეპუნქტი:**

„დ^{1}) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამსახურის თანამშრომლებთან დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს;“.

3. **6^{1} მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. სტრუქტურულ ქვედანაყოფს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება მთავარ შრომის ინსპექტორს, მთავარი შრომის ინსპექტორის პირველ მოადგილეს ან მოადგილეს. მასთან ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას დებს მთავარი შრომის ინსპექტორი.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 18 აგვისტოდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

მიხეილ სარჯველაძე